

ანოტაცია

აგ 555 (AC 555)

პერორალური ფხვნილი, გამოიყენება შინაური ფრინველისთვის.

ციპროფლოქსაცინი (Ciprofloxacin), ამოქსიცილინი (Amoxicillin)

შემადგენლობა

1 გ ფხვნილი შეიცავს, აქტიურ ნივთიერებებს: ციპროფლოქსაცინი - 200 მგ; ამოქსიცილინი - 100 მგ; დამხმარე ნივთიერებებს: ლაქტოზა, აეროსილი

აღწერა: თეთრი ან მოყვითალო ფერის ფხვნილი, დამახასიათებელი სუნით.

გამოშვების ფორმა

1გ ვერცხლისფერ სამშრიან (ორმხრივი პოლიპროპილენი, მეტალიზირებული ფირფიტა) პაკეტში, 50გ და 250გ ვერცხლისფერ სამშრიან (პოლიეთილენტერაფტალატი, ალუმინის ფირფიტა, პოლიეთილენი) პაკეტში.

ფარმაკოლოგიური თვისებები

ამოქსიცილინი – ნახევრად სინთეზურ ანტიბიოტიკს პენიცილინების ჯგუფიდან გამოხატული აქვს მოქმედების ფართო სპექტრი პენიცილინისადმი მგრძობიარე აერობული გრამდადებითი ბაქტერიების: Staphylococcus spp., (პენიცილინაზას მაპროდუცირებელი შტამების გარდა), Streptococcus spp. და აერობული გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ (Haemophilus spp, Klebsiella spp., Pseudomonas spp, Pasteurella spp, Salmonella spp.). მისი მოქმედების მექანიზმი ეფუძნება ბაქტერიის უჯრედული კედლის სინთეზის დათრგუნვას, რაც იწვევს მიკროორგანიზმების ლიზისს.

ამოქსიცილინი გამოიყენება სასუნთქი სისტემის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, შარდ-სასქესო სისტემის, ქირურგიული ინფექციების დროს, რომლებიც გამოწვეულია ამოქსიცილინის მიმართ მგრძობიარე მიკროორგანიზმებით, განსაკუთრებით სტრეპტოკოკებითა და სტაფილოკოკებით გამოწვეული დაავადებების დროს.

ციპროფლოქსაცინი ფტორქინოლონების ჯგუფის ანტიბაქტერიულ საშუალებას გამოხატული აქვს ფართო სპექტრის ბაქტერიოციდული მოქმედება გრამუარყოფითი და გრამდადებითი მიკროორგანიზმების მიმართ (ლატენტურ და ბაქტერიების გამრავლების პერიოდში), მისი ბაქტერიოციდული ეფექტი დამოკიდებულია პრეპარატის კონცენტრაციის დონეზე. პრეპარატი იწვევს ბაქტერიის ფერმენტ დნმ-ჰირაზას ინჰიბირებას, რის გამოც ირღვევა დნმ-ის რეპლიკაცია და ბაქტერიის უჯრედის ცილის სინთეზი.

ციპროფლოქსაცინი აქტიურია გრამდადებითი ბაქტერიების (Staphylococcus, Streptococcus) და გრამუარყოფითი ბაქტერიების, კოკების მიმართ სხვადასხვა სახეობის შტამების ჩათვლით (Pseudomonas aeruginosa, Klebsiella sp, E.coli, Enterobacter, Campylobacter, Vibrio cholerae, Salmonella, Pasteurella, Clostridium, Haemophilus), როგორც ლატენტურ ფაზაში, ასევე ბაქტერიების გამრავლების პერიოდში.

პრეპარატი აგ 555, პერორალური მიღების შემდეგ კარგად გაიწოვება ფრინველის კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, ფართოდ ვრცელდება ორგანოებსა და ქსოვილებში. მაქსიმალურ

კონცეტრაციას აღწევს და ნარჩუნდება 6 სთ-ის, ხოლო თერაპიულ კონცენტრაციას ინარჩუნებს 24 სთ-ის განმავლობაში.

ჩვენებები:

აც 555 გამოიყენება ყველა სახის შინაური ფრინველის ბაქტერიული დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის, როგორცაა:

- სასუნთქი გზების ინფექციები (ბრონქიტი, ბრონქოპნევმონია, პნევმონია, პლევრიტი, ვირუსული ინფექციების გართულების შემდეგ);
- კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და შარდ-სასქესო სისტემის ინფექციები;
- ფრინველის ქოლერა;
- ქირურგიული ინფექციები, ასევე სტრეპტოკოკური და სტაფილოკოკური ინფექციები;
- კოლიბაქტერიოზი, სალმონელოზი და მიკოპლაზმოზები.

გვერდითი მოვლენები

ჩვენებების მიხედვით გამოყენების შემთხვევაში გვერდითი ეფექტები არ გამოვლენილა.

უკუჩვენებები

მომატებული მგრძობელობა ბეტა-ლaktამური ანტიბიოტიკების მიმართ.

სამიზნე სახეობები: შინაური ფრინველი

დოზირება სამიზნე სახეობებისთვის, გამოყენების მეთოდი

პრეპარატი მიიღება პერორალურად, სასმელ წყალთან ერთად.

ფრინველი - 1გ პრეპარატი იხსნება 4 ლ სასმელ წყალში, 3-5 დღის განმავლობაში

სპეციალური გაფრთხილებები

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები სამიზნე სახეობებში გამოყენებისას: პრეპარატიანი წყლის სრულად მოხმარების უზრუნველსაყოფად, შეყვანამდე რამდენიმე საათით ადრე ფრინველები მთლიანად სასმელი წყლის მიღების ყველა წყაროს.

პრეპარატიანი ხსნარის მომზადების შემდეგ დაუყოვნებლივ გამოიყენეთ და არ შეინახოთ ნარჩენები.

რეკომენდებულია წყლის pH-ის შემოწმება, რადგან მას შეუძლია გავლენა მოახდინოს აქტიური ნივთიერების ხსნადობაზე, ბიოშელწვეადობაზე და სტაბილურობაზე.

ანტიბიოტიკორეზისტენტობის ძირითადი მიზეზებია დოზის ნაკლებობა ან ჭარბი დოზა.

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები, რომელიც უნდა იქნას მიღებული პირის მიერ, რომელიც ვეტერინარული პრეპარატით ატარებს მანიპულაციებს სამიზნე სახეობებზე:

პრეპარატთან მუშაობისას დაცული უნდა იქნას პირადი ჰიგიენის და ვეტერინარულ პრეპარატებთან მუშაობის უსაფრთხოების ტექნიკით გათვალისწინებული წესები. მთლიანად კანთან ან თვალებთან კონტაქტს. პრეპარატის გამოყენებისას ყოველთვის ატარეთ ერთჯერადი გამოყენების ხელთათმანები. დაიბანეთ ხელები პროდუქტის გამოყენების შემდეგ. შემთხვევითი დაღვრის შემთხვევაში კანი ან თვალები დაუყოვნებლივ უნდა დაიბანოს საპნით და წყლით. შემთხვევით გადაყლაპვის შემთხვევაში სამედიცინო რჩევისთვის დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს და აჩვენეთ

შეფუთვის ფურცელი ან ეტიკეტი.

ურთიერთქმედება: არ გამოიყენოთ ეს პრეპარატი ტეტრაციკლინებთან, მაკროლიდებთან ან მსგავსს ანტიბიოტიკებთან ერთად, მათი ანტაგონისტური თვისებების გამო.

ჭარბი დოზირება: პრეპარატის ზედდოზირება მოზარდეულში იწვევს ხრტილოვანი ქსოვილის გადაგვარებას, მოქმედებს ძვლის განვითარებაზე, იწვევს კოჭლობასა და ტკივილს. ასევე იწვევს მადის დაკარგვას, დიარეას, ერითემას, ქავილს და ფოტოსენსიბილიზაციის რეაქციებს.

დაყოვნების პერიოდი

ფრინველის დაკვლა სახორცედ გამოყენების მიზნით ნებადართულია პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 11 დღის შემდეგ.

არ გამოიყენოთ კვერცხმდებლ ფრინველში, რომელთა კვერცხი იწარმოება ადამიანის მოხმარებისთვის.

შენახვის პირობები

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25⁰ C ტემპერატურაზე.

შენახვის ვადა: 2 წელი

არ გამოიყენოთ პროდუქტი ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ.

განადგურება

სამკურნალო საშუალება არ უნდა გადაადგოთ გამდინარე წყლებში ან საყოფაცხოვრებო ნარჩენებში. დაეკითხეთ თქვენს ვეტერინარს, როგორ გადაანადგუროთ ნარჩენი მედიკამენტი, რომლებიც აღარ გჭირდებათ. ეს ზომები ეხმარება გარემოს დაცვას.

მხოლოდ ვეტერინარული გამოყენებისთვის.

გაიცემა ვეტერინარის დანიშნულებით.

პრეპარატი შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილზე.

ფარმაცოთერაპიული ჯგუფი: QJ01 - ანტიბაქტერიულები, სისტემური გამოყენებისთვის

მწარმოებელი: შპს „ბიოტექსი“, საქართველო, თბილისი, იუმაშევის ქ. #8